საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭოს
2010 წლის 15 დეკემბრის
დადგენილება № 369[1]

ცვლილებები დოქტორის აკადემიური
ხარისხის მიმნიჭებელ სადისერტაციო
საბჭოს დებულებაში

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო ადგენს:

დოქტორის აკადემიური ხარისხის მიმნიჭებელ სადისერტაციო საბჭოს დებულებაში 2.4. და 9.11. პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

2.4. სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარეს თავისი შემადგენლობიდან ირჩევს ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭო 3 წლის ვადით, ხმათა უმრავლესობით (კენჭისყრაში მონაწილეობა უნდა მიიღოს სიითი შემადგენლობის უმრავლესობამ), ფარული კენჭისყრით საინიციატივო ჯგუფის (არანაკლებ ხუთი წევრი) მიერ ერთი ან რამდენიმე კანდიდატურის წარდგინების საფუძველზე. ერთი და იგივე პირი თავმჯდომარედ შეიძლება არჩეულ იქნას ზედიზედ მხოლოდ ორჯერ. თავმჯდომარის არჩევამდე პირველ სხდომას უძღვება ფაკულტეტის დეკანი.

9.11. დაცვამდე, სულ ცოტა ორი კვირით ადრე, გამოიცემა სტუ-ს რექტორის ბრძანება დაცვის დანიშვნის შესახებ; მასში მითითებული უნდა იყოს სადოქტორო პროგრამის, სადისერტაციო თემის დასახელება, მისი ავტორი, სამეცნიერო ხელმძღვანელის (ხელმძღვანელების) და რეცენზენტების ვინაობა, დისერტაციის დაცვის თარიღი, დრო და ადგილი; აღნიშნული აქტის საფუძველზე სადისერტაციო საბჭოს მდივანი უზრუნველყოფს განცხადების გამოკვრას თვალსაჩინო ადგილზე (ადგილებზე);

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე **ა. ფრანგიშვილი**

აკადემიური საბჭოს მდივანი **გ. სალუქვაძე**